



საფუძველი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიში

- 2015 წლის პირველი იანვრიდან 2015 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით სულ შემოვიდა 43 (ორმოცდასამი) წერილობითი მოთხოვნა. მათგან 39-ს (ოცდაცხრამეტი) გაეცა პასუხი. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 40-ე მუხლის შესაბამისად, ვადების დაცვით, შესრულების პროცესშია 4 (ოთხი) მოთხოვნა. ინფორმაციის გაცემის თაობაზე შემოვიდა ერთი საჩივარი, რომელიც დაკმაყოფილდა.
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების ან მათზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობის პირს სახაზინო სამსახურში წარმოადგენს სამსახურის უფროსი. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა სახაზინო სამსახურში არ დაფიქსირებულა.

